ტფილისი ... ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 112
კვირა, 30 მაისი, 1899 წ.

ბაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

ივერია

№ 112
კვირა, 30 მაისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ეღირება 6 მან. 50 კაპ.

კვირას, 30-ს მაისს, ვანქის საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის კნეინა

ქეთევან რევაზის ასულის გურამიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც შვილნი მისნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა. წირვა დაიწყება დილის $10\frac{1}{2}$ საათზედ.
(2—2)

ნიკიტინის ცირკის შენობაში
სამშაბათს, 1 ივნისს,
ქართულის თეატრის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება
და-ძმა
დრ. 5 მოქ. ვ. გუნიასი.
დასაწყისი 9 საათზედ.
ადგილების ფასი 10 კაპ. ვიდრე 1 მანეთამდე. (1—უ—1)

გამგეობა გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის

„შუამავლისა“

ამით აცხადებს, რომ ექვს ივნისს, კვირას, სამს საათზედ ქ. ოზურგეთში ამხანაგობის სამმართველოში დანიშნულია წარმომადგენელთა წლიური კრება, 25 მაისს წევრების დაუსწრებლობისა გამო არ შემდგარ კრების ნაცვლად. კრება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერად ჩაითვლება. კრებამ უნდა განიხილოს ისევ ის საგნები, რაც პირველ კრებისთვის იყო დანიშნული.

(3—5.—1) ს. ქეიშვილი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.
ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. ბურკო. $1\frac{1}{4}$—$2\frac{1}{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.
სადამოობით:
გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.
ბ. ა. ნავასარდიანი $6\frac{1}{2}$—7 საათ.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ.)

ახალი ამბავი

⁂ 30 მაისს დედათა ინსტიტუტში გაიმართება წლიური აქტი, რომლის შემდეგ მოსწავლე ქალებს დაურიგებენ მოწმობებს. წელს სწავლას ამთავრებს 33 ქალი.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის მოურავს შეაჩეროს შესრულება ქალაქის საბჭოს დადგენილებისა იმის შესახებ, რომ ხმოსანი ა. ა. ივანენკო არჩეულ იქმნას საფინანსო კომისიის წევრად.

⁂ ამ დღეებში კავკასიის სამეურნეო საზოგადოება მიიღებს საზღვარგარეთიდგან 5,000 ფუთ შაბიამანს, რომელიც დაიბარა იქიდგან იმის გამო, რომ ვაზის სამკურნალო საშვალებათა მოთხოვნილება ჩვენს ქვეყანაში თანდათან მატულობს.

⁂ ქალაქის გამგეობამ განიხილა შუამდგომლობა ტფილისის „წყლის განსაცდელისაგან დამხსნელ საზოგადოებისა“ მდ. მტკვარზედ საბანაოს შესახებ და 28 მაისს დაადგინა: დაეთმოს საზოგადოებას სატივოზედ წყლის ნაპირად ერთი ნაჭერი მიწისა, ზომით 76 ოთხ კუთხი საჟ., საბანაოს გასამართავად, იმ პირობით, რომ თუ ვინიცობაა ეს ადგილი დასჭირდა ქალაქს, საბანაო უნდა მოჰშალოს საზოგადოებამ.

⁂ „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, რომ ის ამბავი, ვითომ ქუთაისის სათავად-აზნ. საადგ.-მამ. ბანკის დირექტორის თანამდებობაზედ კენჭს იყრიან თავ. დ. ა. მიქელაძე და ნაფ. ვექ. თანაშემწე ს. ჯაფარიძე, ხოლო დამფასებლების თანამდებობაზე—თავ. გ. აბაშიძე და თავ. ჩიჯავაძეო, საფუძველს მოკლებულია.

⁂ „კავკ.“-ს აუწყებენ, რომ გორის მაზრაში სოფ. ალიანსა, ოქამსა და ტეზს შუა 20 დესეტინის მანძილზედ გამოიჩიკა კვერცხიდგან კალია. მეჯვრისხევის ნაწილის ბოქაულის განკარგულებით, გაწვეულ იქმნენ კალიასთან საბრძოლველად სოფლელი მუშები, რომლებსაც უკვე გაუწყვეტიათ კალიის შესამჩნევი ნაწილი.

⁂ „ახ. მიმ.“-ს სოხუმიდგან სწერენ: 17 მაისს მოხდა ადგილობრივის ქალაქის თვით-მართველობის თანამდებობის კაცთა არჩევანები. ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ კენჭი იყარეს სამსახურიდგან გადამდგარმა შტაბს-როტმისტრმა ადგილობრივმა მემამულემ ბ-ნმა ბერენსმა და ადგილობრივმავე მემამულემ პ. ავ. ბარკალაიამ. ბ-ნს ბარკალაიას ამოუვიდა 16 თეთრი და 11 შავი კენჭი, ბ-ნს ბერენსს-კი—9 თეთრი და 17 შავი კენჭი. მოურავის თანაშემწის თანამდებობაზედ კენჭი იყარეს ანთ. ივ. ჯუღელმა და ქრ. ს. კარა-მურზამ. ბ-ნს ჯუღელს ამოუვიდა 16 თეთრი და 11 შავი კენჭი, ხოლო კარა-მურზას—15 თეთრი და 12 შავი, არჩევნები წარედგინა დასამტკიცებლად ქუთაისის გუბერნატორს.

როგორც ხმოსანთა, ისე მცხოვრებთა შორის აღნიშნულ არჩევანებით გამოწვეულმა უთანხმოებამ, როგორც გავიგეთ, აიძულა ბ-ნი ბარკალაია და უარი განაცხადა ამ თანამდებობაზედ. ხელ-მეორე არჩევანები

ფელეტონი

განკითხვის დღე.

31 მაისს ქუთაისში დანიშნულია საადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენელთა კრება, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს ცხრა წლის განმავლობაში ნაწარმოები საქმენი იმა ბანკისა და განიკითხოს, განსაჯოს გამგეობა და მეტადრე ბ-ნი კალისტრატე ჩიკვაიძე, როგორც თავმჯდომარე ბანკის გამგეობისა; ღირსეულად დააჯილდოვოს მისი „ღვაწლი“, „შრომა“, „ცოდნა“ და „ერთგულება“ იმ საქმის შესახებ, რომელიც მას ნდობით ჩააბარა ამ ცხრა წლის წინად ამომრჩეველთა უმრავლესობამ და რომლისაგანაც დამოკიდებული იყო და არის ბევრგვარი ჩვენი საზოგადო საჭიროება.

რასაკვირველია, გროვა მსაჯულთა ორ ბანაკად გაიყოფება: ერთი ნაწილი ამომრჩეველთა იქნება ბურჯი, რომელიც, განურჩევლად ყოვლისა, ბრმად ემსახურება, იდეალად ჰსახავს კალისტრატეს, როგორც საუმჯობესო მოთავეს ბანკისას; ემსახურება, ვითა უდიდესსა და გულმობიერს ბომონს, რომელიც მონათა თვისთა დიდსა და უდიდესს წყალობას, შემწეობას და სიყვარულს არ აკლებს; მეორე ნაწილი-კი ამომრჩეველთა—იქნება იერიშის მიმტანი კალისტრატეზე, როგორც უვარგისს თავმჯდომარეზე, რომელმაც ხელში ჩაგდებული ბანკის საქმე, მისი ძალ-ღონე, წყობილება თავდაღმა დააქანა, დააქანა და თუ ეხლა მას ხსნა არ აღმოუჩნდა, იგი, დღეს თუ არა, ხვალ საუკუნო ძილს მიეცემა.

ბანკის კეთილ-დღეობა აქვს საგნად აღებული ოპოზიციას, ამას ემსახურება იგი დაუღალავად საზოგადოების წინაშე გარემოებათა აღსნით, ფაქტების თვალ საჩინოდ დასურათებით, ყოველისავე იმ ზომებით, რა ზომებსაც ადგია ღირსების მებრძოლი ოპოზიცია ყოველგან და ყოველ საზოგადო საქმეში,—ეს არის პროგრამმა, მტკიცედ დაცული იმ წრისა, რომელიც ძილს უკრთობს კალისტრატეს, არ მოსწონს ჩიკვაიძის დროში ქვეშ მოკალათებულს, სხვა და სხვა დასთა თა მიმართულებათა მშობელს, აღმზრდელს, ბ-ნს გიორგი წერეთელს, მისს ყურ-მოჭრილს მონას, ჩვენის ბანკის საქმეების სრულიად უვიცს ნოეს და ამალასა მისსა... ამისათვის გასაოცებელია დრტვინვა და საყვედური ზოგიერთ ახალგაზდა პუბლიცისტებისა იმის შესახებ, რომ „ქუთაისის ოპოზიციას პროგრამმა არა აქვს და მისთვის ჩიკვაიძესთან ომს აგებსო“—ეს სრულიად მოკლებულია სიმართლეს: პროგრამმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოპოზიციას ჯეროვანი აქვს, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, გონიერი პროგრამმა, გამოჭრილი საქმის სიყვარულსა და ერთგულებაზედ დღემდის ვერ სძლევდა პროგრამმას, რომელიც შეკინძული იყო და არის სხვა-და-სხვა ხრიკებით. დღეს, როდესაც წარმომადგენელნი არიან მოწოდებულნი, ცხადია, უმეტესობა ისეთია, რომელიც საქმის ვითარების გაუგებლად, არ გაირკვევა და, პირადის ანგარიშების მიხედვით არ დაჰმარხავს ნდობას აუარებელ დამფუძნებელ მსესხებელთა, არ დაანაცვლებს ერთს კაცს და მისს კეთილ-დღეობას საზოგადო საქმის ბედ-იღბალს... აი, სწორედ ამ გარემოებამ დაჰბადა თვალ-საჩინოდ შიში წარსულით წაქეზებულისა და გათამამებულ კალისტრატეს გულში, რისთვისაც ძველებურად ველარ ჰსცემს „გული მისსა სიგულესა“. დღეს ბ-ნი ჩიკვაიძე კარგად ჰხედავს პროგრამმასაც და ზნეობით ძალასაც ოპოზიციისას, ჰგრძნობს შერყევას იმ ნიადაგისას, რომელზედაც ჯგუფდებოდნენ აღურიცხველნი „უცნობნი“ და „ვიგინდარანი“ და თავის სიმრავლით ამარცხებდნენ შედარებით მცირე ოპოზიციას...

რადგანაც სულიერი სურათი ორივე პარტიისა დიდი ხანია საკმარისად გამოხატულია მეთვალ-ყურის წინაშე ამ ცხრა წლის განმავლობაში, — გავითვალისწინოთ ის საბუთები და თავის მართლება, რომელსაც კალისტრატე აღიარებს საყოველთაოდ და განსაკუთრებით თავის ამომრჩეველთა წინაშე, როგორც მიზეზს ბანკის დაქვეითებისა და საქმეების „უარ და უარ“ მსვლელობისას. სხვათა შორის ასეთ მიზეზად ამ გვარი სამწუხარო მოვლენისა იგი ასახელებს იმ გარემოებას, რომ მას—კალისტრატეს,—ვითომ, დღიდამ ამორჩევისა აქამომდე არ მოუსვენეს, უსამართლოდ აუჩივდნენ და უსაფუძვლოდ დაუპირეს ბანკიდამ განძევება, რის გამოც მას არ ჰქონდა საშუალება, (დრო) ეფიქრნა და ემუშავა ბანკის წარმატებისა და მისის საქმეების გასწორებისათვის. რაში გამოისახა „უსაფუძვლო“ საჩივარი და „მოუსვენრობა“ ოპოზიციისა? იგი გამოისახა მხოლოდ იმით, რომ ოპოზიციამ ანუსხა დაუდევრობა, თვითმნებლობა, უზრუნველობა, ძმურ-მოყვარული დამოკიდებულობა მსესხებლებთან კალისტრატესი, როგორც სამწუხარო და ბანკისათვის საზარალო მოვლენა, შეუდგა მეცადინეობას იგი საქმის საბედნიეროდ ბანკიდგან განეძევებინა. ოპოზიციამ გამოაშკარავა ის უტყუარი გარემოება, რომ კალისტრატე—ბანკის გამგეობის თავმჯდომარე—ბანკში იშვიათად დაბრძანდება, მაგალითად—ორკვირაში, თთვეში ერთხელ, ან ორჯელ და ისიც ერთის, ან ორის საათით; მაშინაც იგი გართულია ან კერძო თავის საჭირო საქმეებით, ან კერძო საუბარით, ანუ და იაფ-ფასიანის მახვილობით... ამ გვარად ბანკის ოპერაციები, მისი წინმსვლელობის საქმე, რასაკვირველია, ძალაუნებურად დაღუპვისაკენ უნდა დაქანებულიყო. ამას ისიც დავსძინოთ, რომ რადგან საქმის მოთავე, არა თუ ახალ-ახალ საშუალებას არ იგონებდა, არ ჰმეცადინეობდა ყოველ გზით, რომ ბანკის მდგომარეობა წაემართა, არამედ იმასაც კი არ სცდილობდა, ბანკს ის მაინც არ დაეკარგა, რაც რამ ჰქონდა და რომ მისი აღებ-მიცემობა, თუ არ გაფართოვდებოდა—დამცირებით მაინც აღარ დამცირებულიყო?.. ეს მან, ბ-ნ ჩიკვაიძემ, არ ინება და კიდევ მეტი: როდესაც საერთგულო და სასარგებლო ბანკისათვის ვერა გამოიგონარა, ისიც-კი არ აღასრულა, რაზედაც საზოგადო კრებამ დავალებით თითი მიუშვირა და სთხოვა მისი მოპოება, მაგალითად: 1, სესხის გაცემის ვადა ქალაქის მამულებზედ ხანგრძლივი ყოფილიყო, რისგანაც შემცირდებო-

ქალაქის მოურავისა, როგორც ამბობენ, მოხდება ამ დღეებში.

⁂ **ქუთაისის გუბერნია.** როგორც მოსალოდნელი იყო, წელს აბრეშუმის მოსავალმა ჩვენში ძლიერ დაიკლო. ძლიერ ბევრის ფირმის თესლი წახდა და დაილუპნენ მეაბრეშუმეები. ბევრი რომ არა ვთქვათ, ოცი და ორმოც მანეთამდე მაინც იზარალეს იმ მეაბრეშუმეებმა, რომელთაც წაუხდათ თესლი. არ ყოფილა იმისთანა ოჯახი, რომ რამდენისამე თუმნის ბჟოლის ფოთოლი არ ეყიდოს. ამ უკანასკნელ დღემდის ჭიების ზრდა კარგად მიდიოდა, მაგრამ 23-ს მაისიდგან დაიწყო ხოცვა და ეხლა ძლივს-ღა მოიპოვება მთელს გუბერნიაში იმ ჭიების რაოდენობის ნახევარი, რაც პირველად იყო გამოყვანილი. ბაზრებში პარკები უკვე გამოაქვთ გასასყიდად; ჯერ-ჯერობით შედარებით შარშანდელ ფასებთან ნაკლებ ფასად ისყიდება. ფუთი —10 მან. 12 მანეთამდე. მეაბრეშუმეები ძლიერ შეწუხებულნი არიან, რადგანაც მათ უფრო მეტ ფასად უზის ფუთი პარკი. როგორც ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, უცხოეთის ბაზარზედ პარკებს კარგი მაზანდა ჰქონია და სასურველია, რომ ჩვენებურ მეაბრეშუმეებმა ცოტა შეიცადონ, ვიდრე აქაური მყიდველები დარწმუნდებოდნენ, რომ მართლა კარგი ფასები აქვს პარკებს წელს მარსელში და სხვაგან მომავალ პარიჟის გამოფენის გამო. პარკებიდგან პეპლები რომ არ გამოვიდეს, ვურჩევთ მეაბრეშუმეებს თავიანთი მოსავალი უბრალო საორთქლავ ფეჩებში გამოარჩონ და შეინახონ, ვიდრე ფასები არ აიწევს. კიდევ ერთი საყურადღებო საშუალება მეაბრეშუმეთათვის წელს ის არის, რომ მთელს ქუთაისის გუბერნიაში დაარსებულია პარკების საწონი, საზოგადო სასწორები და ბაზრები, სადაც მეაბრეშუმეებს შეუძლიანთ მიიტანონ თავიანთი პარკები და აწონინონ პარკების მწონელ კომისიას, რომელიც ამორჩეულია ადგილობრივ ინტელიგენტთაგან, იქვე სასწორებთან აშენებულია საორთქლავი ფეჩებიც, სადაც კომისია უფასოდ უხრჩობს მსურველს პარკებს, ასე რომ მეაბრეშუმეს შეუძლიან წაიღოს გამომხჩვალი პარკები სახლში და გააშროს.

⁂ **ტფილისის ოლქის სასამართლოს** სესიამ ქ. გორში, 26 მაისს, გაარჩია საქმე გორის მაზრის სოფ. აგარის გლეხის ფარსა თიბიშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა აზნ. გვერდწითელის მოკვლა 1898 წ. 11 ნოემბერს, ადგილ-მამულზედ ატეხილ დავის გამო. სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა პატიმართა განყოფილებაში 3 წლით გაგზავნა. სიმ. გვერდწითელის სამოქალაქო დავის გამო სასამართლომ დაადგინა: გადაჰხდეს ბრალდებულს 100 მან.

⁂ დღეს, 30 მაისს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უმთავრესის სახელოსნოს სახალხო თეატრში გაიმართება სალიტერატურო სამუსიკო დრამატიული საღამო ა. ს. პუშკინის დაბადების დღიდგან ასის წლის შესრულების სასხოვრად.

⁂ 21 მაისს ტფილისის ვაჭარს სოლომონ გიორგის-ძეს გაბაშვილს, როცა ის სხვაგან იმყოფებოდა, მოჰპარეს საწყობში სტოლის უჯრიდგან შერჩეულის გასაღებით 512 მან. ეჭვი შეიტანეს გაბაშვილის ნოქარს მაისურაძეზედ, რომელიც კიდეც შეიპყრეს.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

21 მაისი.

უმთავრესი საგანი კრებისა ამ დღეს მილით წყლის გამოყვანის საქმე იყო. საბჭომ წინა კრებაზედ გადაწყვიტა, რომ მილით წყალი გამოიყვანოს ქალაქის მცხოვრებთათვის მდინარე რიონიდგან და არა ეგრედ წოდებულ ფაცრის წყაროდგან, რომელიც ქუთაისზედ კარგა მანძილით არის დაშორებული. რიონის წყალს უპირატესობა იმის გამო მისცეს, რომ ფაცრის წყარო, სამთო ინჟინერის მიხაილოვის გამოკვლევით, არ ეკუთვნის „ამომავალ წყაროს“: ამ წყაროს აქეთ-იქიდგან უერთდება წვიმის წყალი, რის გამოც ავდრის დროს იმღვრევა და უფილტროდ მისი გამოყვანა არ ივარგებს; ამას გარდა შესაძლებელია, გვალვის დროს დაიკლოს და საკმაო წყალი ვერ მისცეს ქალაქსაო. მილით მისი გამოყვანა დიდს ხარჯს მოითხოვს, რადგან წყალმა უნდა გადმოიაროს ორი დიდი მთა და მესამეზე ავიდეს და ამოდენა ხარჯის გაწევას ქალაქი ვერ შესძლებსო.

ქალაქის მოურავი დაეკითხა საბჭოს, რა ნაირის საშუალებით შეუძლიან ქალაქს ეს დადგენილება თვისი განახორციელოს? თითონ ქალაქს არა აქვს იმდენი საშუალება, რომ ამ საქმის ვაძლოლა შეიძლოს, მაშასადამე, ან მთავრობას უნდა დავესესხოთ ფული უსარგებლოდ, ან კონცესიონებს უნდა მივმართოთ. მე ვფიქრობ, სთქვა მან, რომ ძნელი მოსალოდნელია მთავრობამ ფული უსარგებლოდ გვასესხოს, თუმცა, რამდენადაც ყური მოვკარ ლაპარაკს, საზოგადოების თანაგრძნობა ამ სესხისაკენ არის.

ხმ. კ. ი. ჭილაძე. მილით წყლის გამოყვანა იმდენად სასარგებლო და სახეირო საქმეა, რომ იმედი მაქვს მთავრობა მოგვცემს სესხს. და, თუ მთავრობისაგან უარი მივიღეთ, კონცესიონერს ჩვენ ბევრს ვიშოვით, ამიტომ მე ვითხოვ გაზეთში იყოს გამოცხადებული ჩვენი გარდაწყვეტილება, რომ მოცილე ბევრი გამოჩნდეს და, ვინც უკეთესს პირობას მისცემს ქალაქს, კონცესია იმას მივცეთ.

ხმ. პ. ა. თუმანიშვილი. ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია აღმოგვიჩენს უეჭველს დახმარებას, ამიტომ რომ თითონ იგი ჩვენზე ნაკლებ არ არის დაინტერესებული ამ საქმით; თითქმის თითონ ადმინისტრაციამ აღძრა ამ საგნის შესახებ ლაპარაკი და დაგვპირდა უმაღლესის მთავრობის წინაშე შუამდგომლობას.

ხმ. ს. ნ. ლორთქიფანიძე. ჩვენ ვიცით, რომ ამისთანა შუამდგომლობა აღძრეს სხვა ქალაქებმაც, მაგრამ ფინანსთა მინისტრმა უარი უთხრა ყველას; მაშ რა იმედი უნდა გვქონდეს, რომ ჩვენი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნება?

ქალაქის მოურავი. ქუთაისში მოსამსახურე მოხელეები სჩიოდნენ, რომ ზაფხულობით ქუთაისში ცხოვრება სიცხისა, აღმოსავლეთის ცხელის ქარისა და მტვრის გამო გაჭირიაო; ადგილობრივის ადმინისტრაციის მიერ უკვე აღძრული იყო შუამდგომლობა, რათა ქუთაისის მახლობლად სააგარაკო ადგილზედ ააშენონ მოხელეთათვის საზაფხულო შენობები და ამისათვის საჭირო ხარჯს თითონ ადმინისტრაცია ითხოვდა. უმაღლესი მთავრობაც თანაგრძნობით მოეკიდა ამ საქმეს, მაგრამ შემდეგ შეჩერდა იგი.

ხმ. დ. ბ. ხელთუფლიშვილი. ჩვენ არ ვიცით, როგორის თვალით შეჰხედავს ჩვენს შუამდგომლობას ფინანსთა მინისტრი, ხოლო ეს-კი დაბეჯითებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ადგილობრივი მთავრობა დიდის თანაგრძნობით დახვდება ჩვენს თხოვნას. ამით დაიმედებულნი ვეცადნეთ და ვითხოვოთ სესხის მოცემა, მე ვფიქრობ, რომ შუამდგომლობის შედეგი მალე გარდაწყდება.

ხმ. კ. ი. ჭილაძე ურჩევს საბჭოს, ერთსა და იმავე დროს მოლაპარაკება აღძრას როგორც მთავრობის წინაშე, ისე კონცესიონერთან.

ხმ. დ. ნ. აბდუშელიშვილი. მართალია, ადგილობრივი ადმინისტრაცია თანაგრძნობით მოეკიდება ჩვენს შუამდგომლობას, მაგრამ მე იმედი არა მაქვს, რომ უმაღლესმა მთავრობამ უსარგებლო სესხი მოგვცეს. რუსეთს წელს დიდი შიმშილობა ეწვია და ამის გამო დიდი ხარჯი მოუვიდა.

გამგეობის წევრი ჩიმაკაძეც იმ აზრისა არის, რომ უსარგებლოდ სესხის მოცემა ძნელი მოსალოდნელი საქმეა. ჩვენ ვიცით მაგალითი, რომ ერთი სამინისტრო მეორეს არ აძლევს უსარგებლოდ სესხს.

ხმ. პ. ა. თუმანიშვილი. თუ სესხი უსარგებლოდ არ მოგვეცა, მცირედის სარგებლით მაინც მივიღებთ.

ხმ. დ. ნ. ბაქრაძე. ფილტრის მოწყობა დიდ ხარჯს ითხოვს. ამ ხარჯს ჩვენი პატარა ქალაქი ვერ აიტანს; საზღვარ გარეთ პატარა ქალაქები ელექტრონის ძალით სწმენდენ წყალს. ჩვენც ეს ძალა გამოვიყენოთ და ნაკლების ხარჯით გამოვიდეთ. მცირედის სესხის მიღება უფრო ადვილი მოსალოდნელია.

ხმ. პ. ა. თუმანიშვილი. მე მსურს, რომ წყლის გამოყვანა კონცესიონერის ხელში არ ჩავარდეს. საქმე ფრიად სასარგებლო და სახეიროა ჩვენის ღარიბის ქალაქისათვის. ვსთხოვოთ მთავრობას 300,000 მან. სესხად და, თუ უარი მოგვივიდა, მაშინ, რა გაეწყობა, კონცესიონერს მივცეთ. ჩვენ მაინც ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ ეს საქმე ქალაქის საკუთრებად დარჩეს, რომ ჩვენი მომავალის თაობის წინაშე პირნათლად დავრჩეთ და არ ვათქმევინოთ: აი, ჩვენი წინაპარნი უზრუნველად მოქცეულან, ეს ფრიად სასარგებლო საქმე ჩაუგდიათ სხვის ხელშიო.

ხმ. კ. ბ. ლორთქიფანიძე. საბჭოს თავჯდომარე აქამდის იმას გვეუბნებოდა, რომ მთავრობა უეჭველად დაეხმარება ქალაქს მილით წყლის გამოყვანაშიო, რადგან ეს საქმე თითონ მთავრობისათვისაც საჭირო და

და სარგებლის გარდახდა და, მაშასადამე, მსესხებელნი ქალაქისა თავიანთ ქონებას სხვა ბანკში აღარ გადაიტანდნენ და 2, კონვერსიის მოხდენა 6% გირავნობის ფურცლებისა 5%-ზედ. ეს საჭირო და სავალდებულო გამგეობისათვის გარდაწყვეტილება საზოგადო კრებისა მოხდა 24 მაისს 1891 წელსა იმისათვის, რომ ბანკი არ დაქვეითებულიყო, იმ წესებით ეხელმძღვანელა, რაც სხვა ბანკებს წინმსვლელობას უძლიარებს. მაგრამ ყოველივე ეს გამგეობამ და მისმა მეთაურმა კალისტრატემ სამინისტროში წარდგენისა და მეცადინეობის ნაცვლად მაუდქვეშ შეინახეს და მაუდქვეშ თუმცა თბილად უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ დღემდის თურმე გაყინულნი არიან... დიაღ, ჩიკვაიძის საბრძანებელ ბანკში გაიყინა ერთგულება, სამსახური საზოგადო საქმისა, პროექტები და შუამდგომლობა საზოგადო კრებისა და მათთან ერთად გაიყინა მოგება ჩვენი საწყალის ბანკისა... გამოეცალნენ მას ქალაქის მამულები, რითაც სული ედგა ბანკს, და ხელ-ხელა ერთიანად ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს მიეკედლნენ; მიეკედლნენ იმისათვის, რომ ტფილისის ბანკმა ყოველგვარი უფლება, რაც მსესხებელს მდგომარეობას უადვილებდა, თავისს დროზედ მოიპოვა...

თვალ-საჩინოდ შეიქმნა ყველასათვის ის გარემოებაც, რომ კალისტრატეს ამორჩევის დღიდგან დღემდის საჯარო ვაჭრობა ბანკში დაგირავებულ მამულთა შეკავშირებული იყო გამგეობის სურვილთან, რომელიც ყოველთვის ხელმძღვანელობდა ჩიკვაიძის ნებით: ჩიკვაიძე, რომ იგი სამუდამოდ დამყარებულიყო ბანკში, როგორც თავმჯდომარე, ბევრს მსესხებელს თვითმნებელობით, კანონის წინააღმდეგ, დროს აძლევდა სესხის შემოუტანლად, ვაჭრობას სდებდა სამერმისოდ და ყოველს ანგარიშს აწერდა ზედნადებად დაგირავებულ ქონებას, რითაც მამული თან და თან იტვირთებოდა მეტის ვალით და ბოლოს საზარალოდ თვით ბანკს რჩებოდა...

მერე თავს რითი ჰმართლულობდა ბ-ნი ჩიკვაიძე? მითი, რომ „ეს და ეს გაჭირვებული იყო, იყვირა, იტირა—და რა უნდა მექნა? შემეცოდა და მეც ვადა მივეციო“. ჯერ ერთი, რომ შებრალება, შეწყალება რომელისამე გაჭირვებულისა იმისთანა დაწესებულებაში, როგორიც ბანკია, სრულიად უკანონოა, რადგან საზოგადო ქონებით კერძო ინტერესების შეწყნარება საერთო საქმეს, საერთო ინტერესებს აბრკოლებს, გზას ურევს და ხშირად კიდეც ჰღუპავს, მეტადრე მაშინ, როცა კერძო კაცთა შეწყნარება სისტემად გარდაიქცევა ხოლმე, როგორც იგი გარდაიქცა კალისტრატეს წყალობით; ყოველ შემთხვევაში ბანკის ქონებით ვისიმე შეწყნარება შეუძლიან მხოლოდ და მხოლოდ დამფუძნებელ მსესხებელთა საზოგადო კრებას, როგორც პატრონს ამ დაწესებულებისას, და არა კალისტრატე ჩიკვაიძეს, რომელიც მხოლოდ დაქირავებული მოსამსახურეა საზოგადოებისა; მეორე—რომ შეცოდება და შებრალება საწყლისა საზოგადო ჯიბით-კი არ უნდა, არამედ საკუთარის ქონებით, თორემ ეგრე რომ არ იყოს, ვინ დაიზარებდა ვანდერბილისა და როტშილდის ქონებით მრავალნი საწყალნი შეებრალებინა? და მესამეც ის, რომ თვით რწმუნება ჩიკვაიძისა, რომ იგი სიბრალულით ხელმძღვანელობდა ვაჭრობის გადადების დროს, არსებითად სრულიად მოკლებულია ძალას, რადგან კეთილი კალისტრატე მარტო საწყლებს-კი არ ეწეოდა, სარგებელს ადროვებდა და „ნედოიმკას“ დაგირავებულ მამულს აწერდა, არამედ ასე ექცეოდა ისეთსაც, რომელთაც ქონება, ვაჭრობა და თანხა ათასობით და ათი-ათასობით ჰქონდათ; იმათთვის შეღავათი სრულიად საჭირო არ იყო!.. რევიზორი თავისს მოხსენებაში სამინისტროს წინაშე (70 გვ.) ამბობს, რომ „ბანკის შემოუტანელი გარდასახადი დარჩენილია იმისთანა მამულებზედ, რომელთა პატრონნი ყოველგვარად შეძლებულნი არიან და სრულიად თავისუფლად შეუძლიანთ გარდაუხადონ ბანკს თავ-თავისს დროზედ სავალდებულო გარდასახადი. მაგალითად: მ. პ. მეფისოვის მამულს ახალციხეში ორი სავადო გარდასახადი აძევს: პირველ იანვრის და პირველ ივლისის 1894 წლისა; ხახანაშვილის მაღაზიებსა და შენობაზედაც სწორედ იმავე ხანების ორი სავადო გარდასახადი ითვლება; მებუკის სახლებს ქუთაისში ერთი სავადო გარდასახადი ჰმართებს. ყველა ესენიო,—ამბობს რევიზორი, ძალიან შეძლებულნი არიანო და დასასრულ, განაგრძობს იგი, გარდასახადი დარჩენილია იმ მსესხებლებზედ, რომელნიც სათავეში უდგანან ბანკის მართველობას: კ. ნ. ჩიკვაიძეს ჰმართებს ორი სავადო შემოსატანი და ჯაიანს—ერთი სავადო“. ამას ამბობს ბ-ნი რევიზორი, რომელმაც თითოეული გარემოება, თითოეული ფურცელი ბანკის წარმოებისა გაარჩია, შეითვისა და ისე მოახსენა სამინისტროს. მაშასადამე ამის წინააღმდეგს, გონებითა და ზნეობით ბრმის გარდა, ვერავინ ვერას იტყვის... ეხლა ხომ დაინახეთ, რომ გულკეთილს თავმჯდომარეს ბანკის გამგეობისას ბ ნ ჩიკვაიძეს მარტო ისეთი მდიდრები-კი არ შეუბრალებია, როგორც მებუკე და მეფისოვი, არამედ მას შებრალებია თითონ კალისტრატე ჩიკვაიძე—ორჯელ სავადო გარდასახადი უდროვებია, და დაუჯილდოებია ბ ნი ჯაიანი ერთის სავადო გარდასახადის დროვებით...

ყოველმავე ამან გამოიწვია ბ-ნ ჩიკვაიძესთან ბრძოლა საზოგადოების გულშემატკივარ წევრთა მხრივ. 1893 წელს, საზოგადო კრების დროს, ოპოზიცია, ამტკიცებდა-რა ჩიკვაიძის გამოუდეგრობას, როგორც ბანკის თავმჯდომარისას, თხოულობდა საქმეების ყოვლის მხრით განხილვას და ჩიკვაიძის ბანკიდამ გაძევებას. ჩიკვაიძეს ეს, რასაკვირველია, არაფრით მოეწონა და ყოველ უკანონობას დაადგა. ჩიკვაიძის მომხრეთ დრტვინვა დაიწყეს. ისინი თხოულობდნენ საქმეთა განურჩევლად კალისტრატეს ხელ-ახლად ამორჩევას. ამგვარმა უთანხმოებამ გამოიწვია, ვისგანაც მოსალოდნელი იყო, უწესოება, რის მიზეზითაც მთავრობა იძულებულ იქმნა ჩარეულიყო ჩვენს შინაურს საქმეში და საზოგადო კრებანი აეკრძალა. იმ დღიდგან მინისტრის განკარგულებით დღემდის არჩევანები ბანკისა აღარ ყოფილა... ეხლა ჰკითხეთ ბ-ნ კალისტრატეს: რითი დაუფრთხეს, „დაურღვიეს სულის მშვიდობა“ მისმა მოწინააღმდეგეებმა 1893 წლის აქეთ და რა გააკეთა დღემდის მისდა მინდობილის საქმის სასარგებლოდ, საბედნიეროდ? ჰკითხეთ,—

სასარგებლოაო, ეხლა-კი სულ სხვას ამბობს. სააგარაკო ადგილის შესყიდვა, საზაფხულო სახლების აშენება, მოხელეების გადასვლ-გადმოსვლა და საქმეების გადატან-გადმოტანა დიდს ხარჯს მოითხოვს. ამ ხარჯის ნახევარი რომ ქალაქს სესხად მიეცეს წყლის გამოსაყვანად, ქალაქისათვისაც საკმარისი იქნება და ხაზინისათვისაც შეღავათი. ქუთაისის ჰავა ისეთი კარგი ჰავაა, რომ, თუ ზაფხულობით ქუთაისის ქუჩები მოირწყა და მტვერი მოისპო, ქალაქი საუკეთესო აგარაკად ჩაითვლება. მეც იმ აზრისა ვარ, რომ ვისესხოთ მთავრობისაგან 300,000 მ., თუ უარი მოგვივიდა, იმ შემთხვევაში ვიშუამდგომლოთ, ობლიგაციების გამოცემის ნება მოგვეცეს. იქნება ვისმე გაეცინოს და იფიქროს, რომ ღარიბის ქუთაისის ობლიგაციებს რა გასავალი ექნებაო? მაგრამ აქ სიცილს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. წყლის გამოყვანა ფრიად სახეირო და სარგებლიანი საქმეა და ობლიგაციების პატრონსაც ეს უნდა.

ხმ. ა. ი. ფიფანოვი. ხაზინა იმ შემთხვევაში გვასესხებს ფულს, თუ იმედი ექნება, რომ ეს სესხი უეჭველად დაუბრუნდება. სესხის მიღება ისე ადვილი არ არის, როგორც ჩვენა გვგონია. იქნება ათი წელიწადი გავიდეს, სანამ ჩვენ ამ სესხს მივიღებდეთ. უმჯობესია, კონცესიონერს მივცეთ.

ხმ. დ. ა. ხელთუფლიშვილი. ამ შემთხვევაში ხაზინის და ქალაქის ინტერესები ერთმანეთს ეთანხმება, ამიტომაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სესხის მიღება შეუძლებელი საქმე არ არის.

საქმე კენჭის ყრაზედ მიდგა, მაგრამ, რადგან ამ საგნის გარდასაწყვეტად კანონიერი რიცხვი ხმოსანთა არ იყო საბჭოში, კენჭის ყრა გადიდო 24 მაისისათვის. ამ კრებაზე 23 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ შვიდისა გადაწყდა ეთხოვოს მთავრობას სესხი (300,000 მ.) უსარგებლოდ.

21-ის მაისის კრებას მოხსენდა, რომ საბჭოს მიერ წარდგენილი გეგმა ელექტრონის რკინის გზისა საგუბერნიო საკრებულომ არ შეიწყნარა. ტფილისის ქუჩა, რომელიც ქალაქიდგან ვოგზლისაკენ არის მიმართული, სამართველოს აზრით, ვიწროა რკინის გზისათვის და უბედური შემთხვევები ხშირი იქნებაო. სამართველო ურჩევს საბჭოს სხვა ქუჩებზედ გაიყვანოს ეს რკინის გზა. საქმე ის არის, რომ ქუთაისში არც ერთი ქუჩა არ არის ტფილისის ქუჩაზედ უფრო განიერი. ამისთანა გარდაწყვეტილება ხელფეხს უკრავს ქალაქს და შესაძლებელია კონცესიონერმაც სრულიად უარი თქვას რკინის გზის გაყვანაზედ, ამ გარემოებამ საბჭო ძალიან დაალონა.

შემდეგ გარდასწყვიტეს მიჰმართონ თხოვნით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, რათა მან უბრძანოს საკრებულოს, ხელმეორედ განიხილონ ეს გეგმა და ამ განხილვის დროს მოიწვიონ კრებაზედ ბ-ნი კონცესიონერი, ინჟინერი მიხაილოვიც.

კრება ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა

18 მაისი

თუმცა კრებას ამხანაგობის ათამდის წევრი ძლივს დაესწრო, კრება მაინც შესდგა, რადგან ეს მეორედ იყო დანიშნული და რამდენი წევრიც უნდა დასწრებოდა, კანონიერად ჩაითვლებოდა. თავმჯდომარედ კრებამ ამოირჩია ბ-ნი გარსევანიშვილი. გამგეობის მდივანმა წაიკითხა შარშანწინდელის საზოგადო კრების ოქმი, რომელიც კრებამ დაამტკიცა. შემდეგ ბაასი ჩამოვარდა წარსულის ორის წლის ანგარიშის შესახებ, რომელიც, დაბეჭდილი ორის კვირის წინად დარიგებული ჰქონდათ ამხანაგობის წევრთ. კრების ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ამხანაგობის მიერ გამოცემულ წიგნების მცირე რიცხვი იყიდება. ორის წლის განმავლობაში გაყიდულის წიგნებისაგან ამხანაგობას შემოსვლია რვაას მანეთზე ცოტა მეტი. ამ ფულით გაუსტუმრებია წინა წლების ხარჯები და ამ ორის წლის განმავლობაში უფულობის გამო არც ერთი წიგნი არ დაუბეჭდია.

სამწუხარო კიდევ ის გარემოება იყო აქ აღნიშნული, რომ ამხანაგობის ზოგიერთი აგენტები ანგარიშს არ იძლევიან და ამით ამხანაგობას ზარალს აძლევენ. გამგეობამ ერთი ამისთანა აგენტი ბ-ნი ხეთერელი კიდეც დაასახელა. ბ-ნ ხეთერელს წიგნის მაღაზია აქვს ქუთაისში და ამხანაგობის კომისიონერად ითვლებოდა. იმას კაი ძალი წიგნები ჰქონია მიცემული კომისიით და ამხანაგობას ჩამოურთმევია მისთვის სათანადო კვიტანციები, რის ძალითაც გამგეობას მოუთხოვია ხეთერელისაგან ფული, ან წიგნები, მაგრამ ხეთერელი რაღაცას ჯიუტობს და ფულს არ იძლევაო. ზოგიერთმა წევრმა ურჩია გამგეობას ეჩივლა სასამართლოში და წარედგინა ბარათები, რის ძალითაც გამგეობას სრული უფლება აქვს სასამართლოს წესით დაიცვას ამხანაგობის ინტერესებიო. ხოლო სხვები იმ აზრისანი იყვნენ, რომ რადგან ამხანაგობა დაარსებულია შინაურულის პირობით, შეიძლება სასამართლომ ჩვენი თხოვნა არ შეიწყნაროსო, ამის გამო ეს გარემოება კრებამ დრომდის უყურადღებოდ დასტოვა.

გვაკვირვებს ბ-ნ ხეთერელის ქცევა; ნუ თუ იმას, როგორც ვაჭარს კაცს, არ ესმით ის ჭეშმარიტება, რომ ვაჭრისათვის ნდობის დაკარგვა საკუთარის საქმის დაღუპვაა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხეთერელი სასამართლომდის საქმეს არ მიიყვანს და რაც ამხანაგობისა ევალება, უეჭველად გადუხდის.

ამ გარემოებამ და სხვამაც ამხანაგობა მიიყვანა იმ დასკვნამდის, რომ საჭიროა საქმე მტკიცე ნიადაგზედ იყოს დაყენებული, თორემ შესაძლებელია სხვა დაბრკოლებაც გადაეღობოს წინ. კრებამ ამოირჩია წევრთა შორის კომისია, რომელსაც დაავალა შეიმუშაოს სამის თვის განმავლობაში ნორმალურის წესდების მიხედვით ახალი წესდება და წარმოუდგინოს იგი მომავალ საგანგებო კრებას.

საინტერესოა ანგარიშის ბოლოს მოქცეული ცხრილი, რომელიც გვაჩვენებს, თუ რამდენი წიგნი გაუყიდია ამხანაგობას ამ ორის წლის განმავლობაში.

აი ეს სიაც:

„სურათები ჩვენის ხალხის ცხოვრებიდგან“ დუტუ მეგრელისა 28 წიგნი, „დედაშვილის თავ-გადასავალი“ დე.—-ამიჩ. 89 წიგნი, „მწირი“ ლერმონ., თარგ. გრ. აბაშიძისა 30 წიგნი, „სვანური ზღაპრები“, შეკრ. თავისუფ. სვანისა, 112 წიგ., „ვილჰელმ ტელ“ გადმოკ. სანებლიძის მიერ 46 წიგ., „გურგენ რაინდი“, ლეგენდა ცახელისა 189 წიგ., თხზულება გ. წერეთლისა ტ. I და II 36 წიგ., „ჰაერი და სითბო“ ქივოტოვსკისა, თარგ. გ. შარაშიძისა 31 წიგ., „საქართველოს ისტორია ბარათაშვილისა ნათ. ხუნდაძის მიერ 38 წიგნი· „ზვიმა“ ქანლის თხზულებებიდან ამოკრებილი დიმ. ივ. ყიფიანის მიერ 131 წიგ., თ. მამია გურიელის თხზულება 467 წიგნი. სულ 1197 წიგნი.

წიგნების გასყიდვის შესახებ კრებაზე სხვა-და-სხვა მოსაზრება წარმოითქვა. გამოცდილებამ დაანახვა ამხანაგობას, რომ ძვირფასიანი წიგნები ნაკლებად საღდება. ამიტომაც კრებამ რჩევა მისცა გამგეობას. ჯერ ხანობით გამოსცეს იაფ-ფასიანი წიგნები და როცა შემოსავალი საკმაოდ იმატებს, მაშინ სხვა წიგნებიც. სხვა მოსაზრებათა შორის ისიც ითქვა, რომ ამხანაგობამ იშოვოს ან ცხენი, ან ჯორი, დაიქირავოს კაცი, რომელიც დაატარებს წიგნებს სოფლად და დაბად. ბაზრობისა და დღესასწაულების დროს და იქ ან ფულზედ გაჰყიდოს, ან გადასცვალოს ისეთს ნაწარმოებზედ, რომელიც ადვილად წამოიღება და ადვილად გასაღდება, როგორც მაგალითად აბრეშუმი და სხვ.

მთავრიშვილი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჟურნალ „მოამბე“-ს მაისის ნომერში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი „ბანკის წევრი“-სა შემდეგის სათაურით: „რა აზარალა ბ-ნმა კალისტრატე ჩიკვაიძემ ქუთაისის ბანკს და მისს მსესხებლებს:

ავტორი იმითი იწყებს, რომ კალისტრატე ჩიკვაიძე ცხრა წლის განმავლობაში მმართველი იყო ქუთაისის ბანკისა, კონვერსია 6% გირავნობის ფურცლებისა 5%-ზედ ვერ მოახერხა, თუმც, საზოგადო კრებამ 1890 წელსავე დაავალა ბანკის გამგეობას ეშუამდგომლნა ამ საქმისათვის ფინანსთა სამინისტროს წინაშეო.

> რუსეთში 36 გრძელ-ვადიანი სესხის ბანკია—და ყველამ მათგანმა ისარგებლა კონვერსიის კეთილი ნაყოფით, ყველამ გადაცვალა თავისი 6%-იანი ფურცლები 5%-იანებად, ყველამ ისურვა და მოახერხა თავის მსესხებელთა გარდასახადის შემსუბუქება,—და მხოლოდ ქუთაისის ბანკი, გირაოს ფურცლების პატრონთა სასაცილოდ, თავის მოძმეთა შორის შეადგენს რაღაც ახირებულ გამორიცხვას, რომელიც არის მისი მმართველის ან უნიჭობისა და ან მიუტევებელი დაუდევრობის შედეგი.
>
> ნურავინ იფიქრებს, რომ მსესხებელთა ინტერესების შესახებ ამ გვარ დაუდევრობას რაიმე სარგებლობა მოჰქონდეს თვით ბანკისათვის. ბ-ნ ჩიკვაიძეს რომ გირაოს ფურცლების კონვერსია მოეხდინა, მსესხებელი წლიურად გატანილ ფულის სარგებლად 6%-ის მაგიერ 5%-ს გარდაიხდიდა, ესე იგი 1%-ით ნაკლებს, სანამ ახლა იხდის, ხოლო ამ პროცენტის მოკლებას ბანკის მოგებაზე არავითარი გავლენა არ ექნებოდა: ეს ერთი პროცენტი ბანკს კი არ დააკლდებოდა, არამედ გირაოს ფურცლების პატრონებს, რომელნიც გაბნეულნი არიან მთელ რუსეთში.

რა უშლიდა ხელს, რომ ბანკს ვერც ერთი საჭირო ცვლილება, უფლება ვერ მოუძია წინმსვლელობისათვის, რა უფლებითაც შემოსილია სხვა ბანკები? ჰკითხეთ, მაგრამ, ვაი, თუ სავულისხმო პასუხი ვერ მოისმინოთ მისაგან!.. ამნაირად, ის მიზეზი, რომელსაც ბ-ნი ჩიკვაიძე ასახელებს, როგორც საფუძველს მისის უმოქმედობისას ბანკში, რადგანაც მას ვითომ „მოსვენებას“ არ აძლევდნენ,—სრულიად მართალი არ არის!..

რა დააშავა გამგეობამ და განსაკუთრებით კალისტრატემ რა ვნება მოუტანა ბამკის ქონებას და ვითარებას, რითი გამოიწვია თავგამოდება ოპოზიციისა და რა გზაზედ უნდა ყოფილიყო წარმოება ბანკში, რომ ფრთები გაეშალა,—ამის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ისიც კმარა, რაც ზემოდ ვთქვით. ეხლა მკითხველს მივაწოდებთ რევიზორის შენიშვნებს, რომელიც სამინისტროს მოხსენდა ოფიციალურად და, მაშასადამე, მათი რითიმე დარღვევა ყოვლად შეუძლებელია.

„ბანკის გამგეობაო, ამბობს რევიზორი: საკმარისად არა სცდილობს აიძულოს მსესხებელნი, რომ ვადაზედ შემოსატანი გარდასახადი დაუყოვნებლივ შემოიტანონ დანიშნულ დროს, რადგან ვადაზე შემოუტანელი გარდასახადნი იზრდებიან და მამული მეტად ვალიანდება. სესხის გარდაუხდელ მამულების ვაჭრობა მოხდება ხოლმე გამგეობის სურვილით და არა კანონის თანახმად“.

„მართვა მამულებისა, რომელნიც ბანკს დარჩენია, საშინლად ურიგოდ სწარმოებს. 1888 წლის დადგენილ წეს-რიგს ამ გვარის მამულების მოვლისას სრულიად არ ასრულებენ. ვადა, თუ როდის უნდა დაიმტკიცოს ბანკმა დარჩენილი მამულები, დამოკიდებულია გამგეობის თვითმნებელობაზედ. ჯეროვანი ყურადღება არ აქვს მიქცეული დარჩენილ მამულთ, რისგამოც ის მოხდება ხოლმე, რომ ბანკზედ დარჩენილ მამულებს სხვა დაიფლობს და ისაკუთრებს. მამულების შემოსავალი სრულიად უმნიშვნელო და მცირეა; მამულების უმეტესს ნაწილს შემოსავალი არ შემოაქვს. ბანკის მამულების ამ გვარ მოვლას შედეგად ის მოსდევს, რომ ბანკს ამისაგან, გარდა სხვა ზარალისა ყოველ წლივ ზარალი აქვს 18 ათასი მანეთი. ამისთვის გამგეობის მოვალეობას შეადგენს გადაათვალიეროს და შეავსოს 1888 წლის წეს-რიგი, ილონოს რამე მამულების მართვის რიგიანს გზაზედ დაყენებისათვის.“

„იმ ქონებათა ანგარიშები, რომელნიც ბანკსა რჩებიან, სრულიად არსად არ მოიპოება; საერთო სამოურაო ანგარიშში, თუ რა გვარად უვლიან, ან როგორ ჰმართვენ დარჩენილ მამულებს, ბანკს შემოღებული არა აქვს და ბანკის წლიურ ანგარიშებშიაც არავითარი ცნობები არ არიან აღნიშნულნი ბანკის ქონების შესახებ; ამგვარად საზოგადოების წევრნი მოკლებულნი არიან ყოველს საშვალებას გაიგონ, თუ დღეს დღეობით რამდენი მამული აქვს ბანკს, რამდენად ბევრია მათი შემოსავალი, ან ხარჯი; რამდენი და რა ფასად გაყიდულა მამულები ბანკის მიერ და სხვა-და-სხვა. ის ციფირები ანგარიშისა და ბალანსებისა, რომელიც შეკავშირებულია ბანკის ქონებასთან, იმოდენად გამოურკვეველია, როგორც, მაგალითად, „დასაბრუნებელი ხარჯებია“, ასე რომ თუ გამოცდილი და სპეციალისტი არა, გარეშე კაცს ძალიან გაუძნელდება მათი გაგება“.

„გამგეობამაო,—ამბობს რევიზორი, მომავალი ზარალი ბანკისა, 5 თებერვლის ოქმით, დაახლოვებით 68 ათას მანეთად ანუსხა; მე-კი ვგონებ, მამულების გაყიდვის დროს ბანკი ამ თანხაზედ მეტს დაჰკარგავსო“.

„ზედამხედველი კომიტეტი ვერ სარგებლობს ჯეროვანის უფლებებით ბანკის საქმეების სახელმძღვანელოდ. (აქვე რამდენჯერმე აღნიშნულია რევიზორისაგან საბუთების ძალით უწესოება და დაუდევრობა ბანკში საქმის და ანგარიშების წარმოებისა, რომელიც შეუნიშნავს გამგეობისათვის ზედამხედველ კომიტეტსაც. მაგალითად, თურმე ბანკის კასსაში ფულებთან ერთად ინახება ხელ-წერილები იქ მოსამსახურეებისა, რომელთაც წინ-და-წინ ფულები აულიათ რამდენიმე თვით; კომიტეტი სჩივისო,—ამბობს რევიზორი—რომ გამგეობა არას გზით არ ასრულებს წეს-რიგს 1888 წლისას ბანკის ქონებათა პატრონობის შესახებ და არც ანგარიშებს ადგენს ამ ქონების ასანუსხად და მესამე, რომ არც წესდებას ასრულებს აუცილებელ ხარჯთა შესახებ, როდესაც მამულებს ჰყიდისო. ყოველივე ეს მოსაზრება და შენიშვნები კომიტეტისა რევიზორმა დაასაბუთა). საჭიროაო, განაგრძობს რევიზორი, კომიტეტის მოქმედებას მიენიჭოს უფრო მეტი მნიშვნელობა და ძალა, რომ იგი წარმოადგენდეს უფლებას, რომელიც აიძულებს გამგეობას აღასრულოს—კომიტეტის შენიშვნები“. შემდეგ რევიზორს ჩამოთვლილი აქვს მრავალი სხვა უწესოება, უკანონობა და თვითმნებელობა ბანკში საქმეთა წარმოება-გამგეობის დროს; არევ-დარევა ანგარიშებისა; მამულების თავის დროზედ გაუყიდველობა, მაგალითად, ორის თვის ნაცვლად, რაც წესდებით დაკანონებულია, ექვსის თვის ვადის მოგონება და სხვა მრავალი. „ბანკმა უნდა მოიძიოს უფლება ვადის გაგრძელებისა, მეტადრე ქალაქის მემამულეებისათვის, აგრეთვე კონვერსია 6% გირავნობის ფურცლებისა და რაც შეიძლება მალე გაჰყიდოს მამულები, რომელნიც ზარალის მეტს ბანკს არას აძლევენო“... ე. ი. რევიზორმაც იმ ცვლილებათა შემოღების საჭიროება და აუცილებლობა სცნო, რაზედაც 1891 წელს კრებამ დაუნიშნა ბ-ნს კალისტრატე ჩიკვაიძეს და რომელთა შუამდგომლობა დაავალა ბანკის საბედნიეროდ, მაგრამ ეს დავალება გამგეობას და ბ. ჩიკვაიძეს არც-კი გახსენებიათ...

ეს არის სურათი ჩვენის ბანკის მდგომარეობისა, რომელსაც უფრო სივრცით და ნათლად დაინახავს წარმომადგენელთა კრება 31 მაისს, გამგეობისა და მეტადრე მისის თავმჯდომარის განკითხვის დღეს. იმედი გვაქვს, გულმოდგინედ საქმეთა განხილვის შემდეგ კრება გონებასა და წრფელს გულს დაეკითხება და ამ გვარად დაადგენს სამართლიანს განაჩენს. უტყუარადა გვრწამს, რომ კრებაც იმ დასკვნამდის მივა, რომ ღალადი, რომელიც ამ ცხრა წლის განმავლობაში ყოველ მხრივ ისმის, მართლად ჰკიცხავს ჩვენის ბანკის გამგეობას და მისს თავმჯდომარეს; რომ რევიზორი და სამინისტრო მართალ არიან; რომ ცოტა ჭეშმარიტებას მაინც ჰსახავს მუდმივი დრტვინვა ოპოზიციისა და რომ საქმენი ბანკისანი თვით ცხადად აღიარებენ თავისის უბედურების მიზეზს...

პაიკი ოპოზიციისა

ახლა ვნახოთ, თუ რა აზარალა ქუთაისის ბანკის მსესხებლებს—და მაშასადამე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებსაც—თავის დაუდევრობითა და უზრუნველობით ჩვენი ბანკის „ენერგიულმა და ნიჭიერმა" მმართველმა, როგორც უწოდებენ ბ-ნ კ. ჩიკვაიძეს მისი გულმოდგინე მეგობრებიო.

თუ რომ ყოველ-წლიურად, ჩვენი ბანკის ანგარიშებისა და ბალანსების საშუალებით, გამოვიანგარიშებთ იმ ფულს, რომელსაც ამ ბანკის მსესხებლები, კონვერსიის მოუხდენლობის გამო, გარდამეტებით იხდიდნენ, მაშინ დავინახავთ, რომ მსესხებლებს ზედ მეტი გარდაუხდიათ:

1891 წლიდგან 1893 წლის 1 იანვრამდე	. . . .		20.800 მ.
1894	წლ. 1	იანვრამდე	25.000 მ.
1895	—	—	20.300 მ.
1896	—	—	16.800 მ.
1897	—	—	14.100 მ.
1898	—	—	11.600 მ.
1899	—	—	18.100 მ.
		სულ	118.700 მ.

ამ გვარად კალისტრატე ჩიკვაიძემ, თავის შეუნდობელ დაუდევრობის წყალობით, გადაახდევინა მსესხებლებს ზედმეტი სარგებელი 122.700 მანეთი! ასე დასაჯა ბ-ნმა ჩიკვაიძემ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლები: იმან წაართვა ჩვენ ღარიბ მსესხებლებს 122.700 მანეთი და გაუგზავნა რუსეთისა და სხვა ქვეყნების მდიდარ კაპიტალისტებს, რომელთაც ჩვენი ბანკის გირაოს ფურცლები აქვთ ხელში. მკითხველებისათვის მიგვინდვია გამოიანგარიშონ, თუ რამდენი კარგი საქმე გაკეთდებოდა ამ ფულით ჩვენს გუბერნიაში, რამდენ აუცილებელ საჭიროებას გაუსტუმრებდა ის ჩვენს ღარიბ მსესხებლებს, ჩვენი გუბერნიის ნივთიერად გაჭირვებულ მცხოვრებლებს!..

ბ ნ ჩიკვაიძის მეგობრებს თავის გმირის განსაკუთრებით დიდ ღირსებად ის მიაჩნიათო, რომ ბანკის მსესხებლებს ის ხშირად აძლევს გარდასახად ფულის შეტანაში შეღავათს: მსესხებელთა გაჭირვებულ მდგომარეობაში შედის, არ ავიწროებს, არ ახრჩობს იმათო!

მსესხებლებისადმი ბ-ნი ჩიკვაიძის გულშემატკივრობისა და მზრუნველობის დასაფასებლად საჭიროა მივიღოთ მხედველობაში—ერთი იმ ჯარიმების რაოდენობა, რომელიც მსესხებლებსვე გადახდათ მათივე „გულ-შემატკივარი ბ-ნი ჩიკვაიძის" მეოხებით დანიშნულ დროზე გარდასახადი ფულის შეუტანლობისათვის,—ეს ფული ბ-ნი ჩიკვაიძის მმართველობაში კაი მოზრდილ ჯამს შეადგენს, სახელდობრ 167.000 (ას-სამოც-და-შვიდი ათას) მანეთზე მეტს; და მეორე—აქვე გავიხსენოთ ის ჩვენი ქვეყნისთვის ამაოდ დაღუპული ას-ოც-და-ორი-ათას-შვიდასი (122.700) მანეთი, რომელიც „ამ გულ-შემატკივარმა კაცმა" გამოგლიჯა ხელიდან თავის მსესხებლებს კონვერსიის შეუსრულებლობისა გამო და რომელიც ჩვენ ზევით საკმაოდ გამოვარკვიეთ.

შეაერთეთ ეს ორი თანხა და მაშინ ცხადად დაგეხატებათ თვალ-წინ ბ-ნი ჩიკვაიძის მზრუნველობა და გულ-შემატკივრობა მსესხებლებისადმი. თქვენ დაინახავთ, რომ ბ-ნმა ჩიკვაიძემ, სრულიად უმიზნოდ და მასთანავე ულმობელად, ამოაცალა ჯიბიდან ჩვენს ღარიბ მსესხებლებს, ვადაზე შესატან კანონიერ გარდასახად ფულს გარდა, ზედ-მეტი 290.000 (ორას-ოთხმოც-და-ათი ათასი) მანეთი!

ახლა გავსინჯოთო, სწერს ბანკის წევრი: ბ-ნი ჩიკვაიძის მოქმედების მეორე მხარე, ვნახოთ როგორ დაეტყო მისი საქმიანობა თვით ბანკის ოპერაციებს და მის წმინდა მოგებას.

ნუ თუ მართლა განსაცვიფრებელი არ არის ის გარემოება, რომ ტფილისის ბანკს, როგორც გვიჩვენებს „ხანგრძლივი კრედიტის სტატისტიკა რუსეთში"—(Статистика долгосрочнаго кредита въ Россіи) ქუთაისის გუბერნიაში ქალაქის მამულებში ბევრად მეტი სესხი გაუცია, სანამ თვით ქუთაისის ბანკს, სახელდობრ:

1897 წლის 1 იანვრამდი ქუთაისის გუბერნიაში ქალაქის მამულებში სესხი გაუციათ:

ქუთაისის ბანკს—1.803 ათასი (ერთი მილიონი რვაას სამი ათასი) მანეთის.

ტფილისის ბანკს—1.984 ათასი (ერთი მილიონი ცხრაას ოთხმოც-და-ოთხი ათასი) მანეთის.

ასე რომ 1897 წლის იანვრამდი ტფილისის ბანკს ქუთაისის გუბერნიაში ას ოთხმოც-და-ერთი ათასი (181.000) მანეთით მეტი სესხი გაუცია ქალაქის მამულებში ვიდრე თვით ქუთაისის ბანკს!

1890 წელში, ესე იგი ბ-ნი ჩიკვაიძის მმართველად პირველ არჩევის წელში ქუთაისის ბანკში დაგირავებული იყო ქალაქის მამულები სულ 2.119.700 მანეთის (ორი მილიონის, ას ცხრამეტი ათას და შვიდასი მანეთის); ბ ნ ჩიკვაიძის ცხრა წლის „ენერგიულ მოქმედებას" შემდეგ კი, ესე იგი 1899 წლის პირველ იანვრისათვის ქალაქის მამულების სესხი დარჩა სულ 1.554.823 მანეთის (ერთი მილიონის და ხუთას ორმოც და თოთხმეტი ათას რვაას ოცდა სამის მანათის); ასე რომ გაზრდისა და გაძლიერების მაგიერ, ქალაქის მამულების სესხი 564.877 (ხუთას სამოც და ოთხი ათას რვაას სამოც-და ჩვიდმეტი მ.) მანათით შემცირა!

ახლა გთხოვთ შეიხედოთ ტფილისის ბანკში და გაიგოთ, თუ როგორ იზრდება ამ მხრით მისი ოპერაციები ქუთაისის გუბერნიაში, ამავე ხანებში; თქვენ უთუოდ განცვიფრდებით მისი წარმატებით.—აი რამდენი სესხი გაუცია ტფილისის ბანკს ქალაქის მამულებში ქუთაისის გუბერნიაში:

1891	წელში	—	92,600 მ.
1892	—	—	418,800 —
1893	—	—	509,800 —
1894	—	—	631,200 —
1895	—	—	326,700 —
1896	—	—	182,100 —
1897	—	—	244,100 —
1898	—	—	138,600 —
		სულ	2.543.900 მ.

ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ტფილისის ბანკმა დროზედ იშოვნა ქალაქის მამულებში 36 წლითა და 4 თვით *) სესხის გაცემის უფლება, სახელდობრ 1890 წელს, და ქუთაისის ბანკმა კი, ბ-ნი ჩიკვაიძის მიერ საქმის გაუგებრობისა გამო, სრულიადაც არ იზრუნა ამაზედ, თუმცა თვით საზოგადო კრებამ 1890 წ. დაავალა გამგეობას—ეშუამდგომლა ამ კითხვის შესახებ ფინანსთა სამინისტროს წინაშე და როცა, დასასრულ, როგორც იქმნა მიიღეს ამ 36 წლისა 4 თვის ვადით სესხის უფლება, აღმოჩნდა, რომ ეს იყო „ურმის გადაბრუნების შემდეგ გზის გამოჩენა", რადგან ტფილისის ბანკმა უკვე გამოაცალა ქუთაისის ბანკის დაუდევარსა და უზრუნველ მმართველებს მრავალი საუკეთესო მამული.

ქუთაისის ბანკმა $36^{1}/_{2}$ წლიან სესხის გაცემა იწყო 1896 წლიდგან, და მკითხველი ტფილისის ბანკისაგან გაცემული სესხის ზემორე მოყვანილ ნუსხიდგან ადვილად დაინახავს, რომ სწორედ ამ წლიდგანვე იწყო კლება ქუთაისის ბანკიდგან ტფილისისაში მამულების გადასვლამ.

ის ზარალი რომ ვიანგარიშოთ, რომელიც ქუთაისის ბანკს მიეცა აქაური მამულების ტფილისის ბანკში გადატახით, დავინახავთ, რომ ქუთაისის ბანკს ამ მამულებიდგან სარგებელი ექმნებოდა:

1891	წელში	. .	1.840 მ.
1892	—	. .	9.296 —
1893	—	. .	15.304 —
1894	—	. .	22.830 —
1895	—	. .	23.052 —
1896	—	. .	23.427 —
1897	—	. .	26.488 —
1898	—	. .	26.819 —
		სულ	149.056 მან.

ამ სახით ბ-ნმა ჩიკვაიძემ ჩვენს ბანკს აზარალა 149 ათასი მანათი და ამით დასაჯა მოზარდი თაობა, რომლის განათლებაზეც იხარჯება უმთავრესად ბანკის წმინდა მოგება, დასაჯა მთელი საზოგადოება, რომელსაც ეს ფული მრავალს აუცილებელს საჭიროებას გაუსტუმრებდა.

ყველა ზემორე ნათქვამიდგან მკითხველი ხედავს, რომ ბ-ნმა ჩიკვაიძემ ორი უმთავრესი ზარალი მიაყენა ჩვენს ბანკს: ერთი მხრით—ბანკის მსესხებლებს აზარალა 122 ათასი მანათი, რომელიც იმათ ზედ-მეტად გარდაიხადეს 6% გირაოს ფურცლებზედ, და მეორე მხრით—თვით ბანკის მოგება შეამცირეს 149 ათასი მანეთით.

ამ სახით ბ-ნი ჩიკვაიძის ბანკის მმართველად არჩევა, ესე იგი იმისთანა თანამდებობაზედ არჩევა, რომლისთვისაც ბ-ნ კ. ჩიკვაიძეს არც შესაფერი ხასიათი ჰქონია, არც ცოდნა და არც შრომისმოყვარეობა,—ერთობ ძვირად დაუჯდა ჩვენს საზოგადოებას, რომელიც მოიხიბლა ბ-ნი ჩიკვაიძის ხალისიანი ქცევით და კერძო ცხოვრებაში ცოცხალი ხასიათით,—ეს კაცი დაუჯდა მას 271 ათას მანეთად.

ამ ცხად საბუთების შესახებ რა ითქმის იმის მეტი, რომ ვისაც ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!..

◆◆

საგულისხმო მაგალითი.

1870 წელს ქუთაისს გაცხარებული საარჩევანო ბრძოლა ჰქონდა. გუბერნიის მარშლად ირჩევდნენ თ. ალექსანდრე მიქელაძეს, რომლის გაშავებას სულითა და გულით ცდილობდა მაშინდელი გუბერნატორი—გრაფი ლევაშოვი—კაცი დიდის გავლენის მქონე უმაღლესს წრეებში. სხვა თვისს ხელ-ქვეით მოხელეთა შორის გრაფმა მოსთხოვა თავისს თარჯიმანს თ. დ. წ., რომ ალექსანდრესთვის შავი კენჭი ჩაეგდო, მაგრამ თ. დ. წ. უარი მოახსენა ბ ნს გუბერნატორს, რის გამო კენჭის ყრის გათავების შემდეგ დაჰკარგა ალაგი და დარჩა ცოლით და წვრილშვილით ღვთისანაბარად, რადგან გარდა ჯამაგირისა ამ კეთილშობილს ადამიანს არავითარი სახსარი ცხოვრებისა არ მოეპოებოდა. ასევე მოიქცნენ მომრიგებელ-შუამავალნი: ნ. ყენია, თ. ირაკ. ლორთქიფანიძე და თ. ნ. ერისთავი, ეხლანდელი დირექტორი სააზნაურო ბანკისა. ეხლა-კი ამის ნაცვლად რას ვხედავთ?—დღეს ხშირად გვესმის ჩინებულ ოჯახის შვილისა და სრულიად დამოუკიდებელ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებისაგან: „კალისტრატესი გვეშინიან, თორემ სულითა და გულით თქვენი ვართო". მართლა რომ დრონი იცვალნენ და მასთან ჩვენი ქველური ზნეობანიც. Sapienti sat!..

ძველი მეკენჭე

◆◆

ა. ს. პუშკინის ასის წლის დაბადების დღე ქუთაისში

დილის თერთმეტ საათზედ საკათედრო ტაძრიდგან სამღვდელოება ჯვრითა და სახარებით ხელში ქალაქის წარმომადგენლის თანდასწრებით, წამოვიდა ქალაქის ბაღისაკენ. ბაღის შუა ადგილზედ, სადაც ქალაქი მგოსნის ქანდაკების დადგმას აპირებს, სამღვდელოებამ გარდაიხადა დიდებულის მგოსნის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. თერთმეტ საათზე ქალაქის თეატრში ვაჟების გიმნაზიამ გამართა ლიტერატურულ-მუსიკალური დილა, რომელსაც აურებელი ხალხი დაესწრო. თეატრი ისე იყო გატენილი, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა. დიდძალი ხალხი უადგილობისა გამო ფეხზედ იდგა და უფრო მეტი უკან დაბრუნდა. შუა სცენაზე ამართული იყო მწვანით შემკული პოეტის მშვენიერი ბიუსტი. მოსწავლენი კითხულობდნენ პუშკინის სხვა-და-სხვა ნაწარმოებს, უკრავდნენ და ჰგალობდნენ იმის თხზულებიდგან რჩეულ ადგილებს. მერვე კლასის მოსწავლემ წაიკითხა შინაარსიანად შედგენილი მოკლე ბიოგრაფია პოეტისა; მასწავლებელმა ბ-ნ დზიუბინსკიმ წაიკითხა „პუშკინის ლიტერატურული მოღვაწეობა და მნიშვნელობა ამ მოღვაწეობისა". ურიგოდ არ იყო წაკითხული ორის მოსწავლის მიერ მოხოლოდ დრამიდგან „ბორის გოდუნოვის" „სცენა ჩუდოვის მონასტრის სენაკში". ბოლოს საუცხოვოდ წაიკითხა მერვე კლასის მოსწავლემ თოფურიძემ პოლონსკის ლექსი „პუშკინი". ისე გრძნობიერად იყო ლექსი წაკითხული, რომ საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა და ახალგაზრდა მკითხველი ხანგრძლივის ტაშის ძახილით დაჯილდოვებულ იქმნა.

⁂

წერილი რედაქციის მიმართ.

აი თითქმის ორი წელიწადი, თუ მეტი სრულდება, რაც დუშეთის მაზრის სოფ. ახალგორში მოგვივიდა თ. შალიკოვთან, ქსნის ბოქაულთან, ქაღალდი ბ-ნ გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან, რომლითაც გვატყობინებდა, რომ ოც-და-ხუთის წლის სამსახურის გამო თ. ივანე ელიზბარის ძე ერისთავს, როგორც მომრიგებელ შუამავალს, უმართავდნენ იუბილეის და ჰსურდათ სახსოვრად მიერთვათ რაიმე ნივთი და მსურველს მოგვეწერა ხელი. რასაკვირველია, ამ ჩვენ პატარა სოფელში დიდი არა შესდგებოდა-რა, მაგრამ გამოჩნდნენ ისეთნი, რომელთაც სულითა და გულით მოისურვეს მონაწილეობის მიღება. აი ისინიც: 1) თ. კონსტანტინე შალიკაშვილმა 5 მან., თ. გიორგი ერისთავმა 5 მ., ბ-ნმა ექიმმა 5 მ., აზ. ი. ქ. ჩიკოიძემ 3 მ. და აქაურმა მღვდელმა 1 მ. ამ მომწერთ ჰსურდათ პატივი ეცათ თავიანთის მომრიგებელ შუამავლისათვის ამდენის ხნის ერთგულ და დაუღალავ სამსახურისათვის. მოგროვილი ცხრამეტი მანეთი ფოსტით გამოვუგზავნეთ გორში ამ საქმის მოთავეს. ამ ჩვენი პატარა თანაგრძნობით არა გარიგდებოდა-რა, ბევრი სხვაც იყვნენ მსურველნი მონაწილეობის მიღებისა ამ საქმეში და დადიოდა კიდეც ხელმოსაწერი ქაღალდი. ეხლა, როგორც ვხედავ, თ. ი. ელ. ერისთავი გადმოიყვანეს დუშეთის მაზრაში იმავე სამსახურში და ყოველივე დაწყებული საქმე დავიწყებას მისცეს. ეხლა, ბ-ნო მოთავევ, თუ თქვენი დაწყობილი საქმე ვერ შეასრულეთ, გთხოვთ გვაცნობოთ, რომელ კეთილ საქმეს მოახმარეთ ჩვენი გამოგზავნილი ფული ჩვენ დაუკითხავად?

ახალგორელი

◆◆

„ივერიის" ფოსტა

მართაშვილს. არ დაიბეჭდება.

გ. კორც—ლს. ლექსი არ დაიბეჭდება, კორესპონდენციას-კი არ დაგვაბეჭდვინებენ.

ს. ფ—ლი ფ—შვილს. არ დაიბეჭდება.

ქვიტირელს. ლექსი არ დაიბეჭდება.

ნ. ფ—შვილისას. არ დაიბეჭდება.

ს. ლაშის ჰირელს. არ დაიბეჭდება.

ს. გ—ა, ვ. უ—ნს. არ დაიბეჭდება, რადგან საზოგადო მნიშვნელობა არა აქვსრა მაგ ამბავს.

ე. ჭ—შვილს. არ დაიბეჭდება.

ს. ნა—ძეში. დამსწრეს. თქვენი წერილი დაგვიანებულია.

◆◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 მაისი

პეტერბურგი. მიღებულ იქმნა დაგვიანებული დეპეშები პუშკინის დღესასწაულის გარდახდის შესახებ უფიდგან, ბოროვიჩიდგან, ორლიდგან, სარატოვიდგან და სხვა ადგილებიდგან.

პარიჟი. პალატა. დეშანელმა სთქვა, იტალიის პალატის პრეზიდენტისაგან დეპეშა მოვიდა, რომლითაც პალატა თავის მწუხარებას გვიცხადებს ოტეილში მომხდარ მანიფესტაციების გამო (ხანგრძლივი ტაშის ცემაა). ლაზის უნდოდა შეჰკითხებოდა პალატას დელკასეს მიერ პანიცარდის დეპეშის გამო წამოთქმულ სიტყვების შესახებ. დელკასემ განაცხადა, რომ პანიცარდის დეპეშის თარგმანი (ეს დეპეშა გადმოთარგმნილ იქმნა 40 დღით ადრე დრეიფუსის პროცესამდე) არავის შეუცვლიაო. ლაზის მიერ აღძრულ საგნის განხილვა ერთის თვით გადასდეს.

პარიჟი. პალატამ დაამტკიცა სენატის მიერ შეწყნარებული პროექტი, რომლითაც სამხედრო სასამართლოში მიცემულ ბრალდებულთ ნება ექმნებათ მიიწვიონ ვექილი პირველ დაწყებით გამოძიების დროს.

ლონდონი. მოლაპარაკებამ ტრანსვაალის რესპუბლიკის პრეზიდენტთან უნაყოფოდ ჩაიარა. ჟურნალ-გაზეთები თხოულობენ, რომ მთავრობამ ტრანსვაალის წინააღმდეგ ენერგიული ზომები მიიღოს.

28 მაისი

პარიჟი. რუსეთის ელჩის თავადის ურუსოვის თაოსნობით, საელჩოს ეკკლესიაში დღეს გარდახდილ იქმნა წირვა პუშკინის ასის წლის იუბილეის გამო. დაესწრნენ: ელჩი, საელჩოს წევრნი, რუსეთის ახალმენლები.

პარიჟი. დიუპუის და კრანს გენერალ ცურლინდენთან და პოლიციის პრეფექტთან თათბირი ჰქონდათ და მიღებულ იქმნა ღონისძიებანი მომავალ კვირას წეს-რიგის დასაცველად.

პარიჟი. გამამტყუნებელმა პალატამ დაადგინა, დროებით განთავისუფლებულ იქმნას სტუსაღოდგან პიკარი.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის მხრივ ამტკიცებენ, რომ პრილეპში მომხდარი ამბები ბოლგარელთა ბრბომ გამოიწვიაო. სულთანმა ბრძანა გააგებინონ დიმიტრიევს, რომ ამ ამბების შედეგის პასუხის მგებლობა ბოლგარიის მთავრობამ უნდა იკისროსო.

29 მაისი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: ხელახლა ნება მიეცეს გაზეთ „ნაროდ"-ის ცალკე ნომრობით გაყიდვისა.

კარაკასი. ადგილობრივი რევოლიუცია ასტყდა ანდების შტატში.

◆◆

---

*) ამ ვადის სარგებლობა მსესხებლებისათვის იმაში მდგომარეობს, რომ 3%-ის მაგიერ, რომელსაც მსესხებელი უფრო მოკლე ვადებში იხდის, ამ ვადაში იხდის ხოლმე 1%-ს. მაგალითად, 18 წლიან ვადაში მსესხებლები იხდიან 9%-ს (5% სარგებელს +3% გასაბათილებელს+1%-ს ბანკის სასარგებლოდ); 37 წლის ვადაში კი იხდიან 7%-ს (5% სარგებელს+1% გასაბათილებელს+1%-ს ბანკის სარგებლოდ). აი ეს ორი %-ით ნაკლები ყოველ წლიური გარდისახადი იყო იმის მიზეზი, რომ ურიცხვი მსესხებელი ქუთაისის ბანკიდგან ტფილისისაში გადადიოდა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Мая 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე